

ქ. თბილისის მერისა და პარტიული სიით ჩატარებული საკრებულოს არჩევნების ეგზით პოლის ანგარიში

შესავალი

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის დაკვეთით კომპანია GfK-მ ჩატარა საარჩევნო უბნიდან გამოსული ამომრჩევლების გამოკითხვა - ეგზით პოლი.

GfK ჯგუფი არის მსოფლიოში სიდიდით მე-4 კვლევითი ორგანიზაცია, მისი სათაო ოფისი განთავსებულია ქალაქ ნურმბერგში, გერმანიაში. მისი საქმიანობა მოიცავს ხუთ განყოფილებას, სამომხმარებლო ქცევის კვლევა, საცალო ვაჭრობა და ტექნიკა, მომხმარებელთა თვალყურის დევნება, მედია და ჯანდაცვა. გარდა 13 გერმანული ქვედანაყოფისა, ჯგუფი ფლობს 130 შვილობილ კომპანიასა და ფილიალებს 100-ზე მეტ ქვეყანაში.

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ჩვენს ვებ საიტს: www.gfk.com

პროექტის მართვა

პროექტს მართავდნენ ნიკ მუნი (Nick Moon), GfK NOP სოციალური კვლევის გენერალური დირექტორი და ვადიმ ვოლოსი (Vadim Volos), GfK საზოგადოებრივი საქმეებისა და მედიის ვიცე პრეზიდენტი. საველე სამუშაოები საქართველოში განახორციელეს გამოცდილმა ადგილობრივმა მკვლევარებმა. ნიკ მუნი პასუხისმგებელი იყო შერჩევის დიზაინის, ანალიზისა და შეწონვების მომზადებისათვის. მან წარმატებით ჩატარა GfK-ის ეგზიტპოლები, რომელიც ჩატარდა BBC-ის დაკვეთით ბოლო ოთხი არჩევნებისთვის დიდ ბრიტანეთში და ბოლო დროს შეძლო წარმატებით ჩატარებინა ორი ეგზიტპოლი უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის, რომელმაც ძალიან მაღალი სიზუსტით ასახა რეალობა.

პროფესორი ჯონ კურტისი (John Curtice) Strathclyde University-დან ასევე იყო ჩართული შეწონვებისა და ანალიზის სქემის მომზადებაში. პროფესორმა კურტისმა (Curtice) წარმოადგინა BBC-ის დაკვეთით დიდ ბრიტანეთში ბოლო ოთხი წლის მანძილზე ჩატარებული ეგზიტპოლის საბოლოო პროგნოზი, ასევე იგი მუშაობდა რამდენიმე ეგზიტპოლზე საბერძნეთსა და რუსეთში, ასევე იგი იყო კონსულტანტი უკრაინის ეგზიტპოლის ჩატარებისას.

ნიკ მუნისა და პროფესორ კურტისის თანამშრომლობით უკრაინაში ჩატარებული ეგზიტპოლების საშუალო გადახრა იყო 0,5%-ზე ნაკლები თითოეული კანდიდატისათვის, ხოლო წინა არჩევნებისას და ასევე დიდი ბრიტანეთის ბოლო არჩევნების შემთხვევაში ეგზიტპოლის წინასწარი მონაცემები ზუსტად დაემთხვა არჩევნების შედეგებს.

მეთოდოლოგია

ძირითადი მიდგომა დაფუძნებული იყო მიდგომებზე, რომლებიც წარმატებით გამოყენებული იყო GfK-ს მიერ ბრიტანეთში, უკრაინაში, პოლონეთში, აშშ-ში, გერმანიაში, საბერძნეთსა და ბევრ სხვა ქვეყანაში.

გამოკითხვა ეფუძნებოდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპებს, ვინაიდან საუკეთესოდ შეესაბამება დასახულ მიზანს_ მაქსიმალურად მაღალი სიზუსტის მონაცემების მისაღებად.

საარჩევნო უბნების შერჩევა და მათი შეფასება

ეგზიტპოლი ჩატარდა ქ. თბილისის მასშტაბით და გამოიკითხული იქნა 50 საარჩევნო უბანის ამომრჩეველი.

საარჩევნო უბნები შეირჩა სტრატეგიცირებული შერჩევის მეთოდის გამოყენებით. პირველ ეტაპზე მოხდა ქალაქში უბნების განსაზღვრა რაიონების/ოლქების მიხედვით, ხოლო შემდეგ მოხდა მათი სორტირება 2008 წლის არჩევნებზე წამყვანი პარტიების ხმების რაოდენობის მიხედვით.

მეორე ეტაპზე საარჩევნო უბნების შერჩევა მოხდა ალბათობით, რომელიც მათი ზომის პროპორციული იყო. საარჩევნო უბნების შერჩევის ამ მეთოდზე დაყრდნობით, დიდი საარჩევნო უბნების შერჩევა ხდება უფრო ხშირად ვიდრე პატარების. ამის შედეგად თითოეულ საარჩევნო უბანზე ჩასატარებელი ინტერვიუების რაოდენობა იყო თანაბარი.

იმის შემდეგ რაც შეირჩა საარჩევნო უბნები, მოხდა თითოეული მათგანის შენობის შემოწმება, იმის განსასაზღვრად, რომ მოსახერხებელია მოცემულ უბანზე ეგზიტპოლის ჩატარება (მაგ. შესაძლებელი იქნება თუ არა ამომრჩეველების გადათვლა, რომლებიც ტოვებენ საარჩევნო უბანს, არის თუ არა მოსახერხებელი ადგილი ინტერვიუებისა და რესპონდენტისათვის საარჩევნო უბნის გამოსასვლელთან ახლოს, ასევე არის თუ არა საკმარისი სივრცე ინტერვიუების ჩასატარებლად, შესაძლებელია თუ არა კონტროლის ჯგუფების მხრიდან ჩატარების პროცესზე შეუძინებლად დაკვირვება და ა.შ.

საარჩევნო უბნების შერჩევა და მათი შეფასება

ამომრჩეველთა შერჩევა საარჩევნოდ და კვლევის პროცესი

მეთოდოლოგიის მიხედვით 50 საარჩევნო უბანზე უნდა ჩატარებულიყო 5,000 ინტერვიუ. თითოეულ საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ინტერვიუებმა უბნების მიხედვით მოახდინეს ყიველი მე-3, მე-4 ან მე-5 ამომარჩევლის გამოკითხვა (უბნის ზომის მიხედვით). იქიდან გამომდინარე, რომ შეიძლება აღმოჩნდეს სისტემური განსხვავებები ამომრჩეველთა ქცევებს შორის დღის განმავლობაში ეგზიტპოლი გრძელდებოდა საარჩევნო უბნების გახსნიდან დახურვამდე, 12 საათის განმავლობაში. რამდენადაც ხმისმიცემის პროცესი

კონფიდენციალურია და წარმოადგენს მგრძობიარე საკითხს და ინტერვიუერების მიერ შეკითხვების პირდაპირ დასმას შესაძლოა გამოეწვია მიკერძოებულობაან უარების მაღალი პროცენტი, ამისათვის გამოვიყენეთ რესპონდენტებისათვის დამოუკიდებლად შესავსები კითხვარები, რომლებსაც რესპონდენტები თვითონ ავსებდნენ და აგდებდნენ ყუთში. თუ რესპონდენტი უარს ამბობდა ეგზიტპოლში მონაწილეობის მიღებაზე ინტერვიუერი კითხვარში აღნიშნავდა სქესსა და სავარაუდო ასაკს. უარების შესახებ ინფორმაცია გამოყენებული იყო შეწონვის პროცესში, სადაც ხდებოდა შედეგების კორექტირება ასაკის და სქესის მიხედვით. კითხვარი მოიცავდა კითხვებს მერის არჩევნებსა და თბილისის საკრებულოს პარტიული სიით არჩევნებში რესპონდენტების პრეფერენციებს, ასევე შეკითხვებს იმის შესახებ თუ ვის მისცა რესპონდენტმა ხმა გასულ საპარლამენტო არჩევნებში, აგრეთვე რესპონდენტის მნიშვნელოვან სოციო-დემოგრაფიულ მახასიათებლები (ასაკი და სქესი).

შედეგების შეჯამება

კითხვარები გროვდებოდა მობილური ჯგუფების მიერ 11, 16, 18:30 და 20:00 საათებზე. მონაცემები შედიოდა და მუშაოვდებოდა სპეციალურ სტატისტიკურ პროგრამაში SPSS-ში.

კვლევის შედეგები

ეგზიტ პოლი ჩატარდა ქალაქ თბილისის მასშტაბით და სულ გამოკითხული იქნა 6418 ამომარჩეველი. კვლევის კითხვები ეხებოდა ქ. თბილისის მერისა და ქალაქის საკრებულოს პარტიული სიით არჩევნებს. მაქსიმალური ცდომილება იყო 2%.

არჩევნებში თბილისის მასშტაბით მონაწილეობა მიიღო 43%-მა. ეგზიტ პოლის მონაცემებით, ქალაქ თბილისის მერის არჩევნებში გაიმარჯვა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატმა გიორგი უგულავამ. თბილისის საკრებულოს პარტიული სიით არჩევნების შედეგების მიხედვით ასევე ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ლიდერობს. ქვემოთ მოცემულია ეგზიტ პოლის სრული შედეგები.

ქ. თბილისის მერის არჩევნები

	საბოლოო შედეგები; გადანაწილებული (%) ¹
გიორგი უგულავა	57.6%
ირაკლი ალასანია	19.1%
გიორგი ჭანტურია	8.4%
ზვიად დიმიგური	7.1%
გოგი თოფაძე	4.2%
ნიკოლოზ ივანიშვილი	0.5%
თამაზ ვაშაძე	0.4%

გიორგი ლალიძე	0.2%
დავით იაკობიძე	0.2%
არცერთი, ყველას წინააღმდეგ	2.3%

1

საკრებულოს არჩევნები პარტიული სიით

	საბოლოო შედეგები; გადანაწილებული (%)
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	55.9%
ალიანსი საქართველოსთვის	18.2%
გიორგი თარგამაძე, ინგა გრიგოლია - ქრისტინა-დემოკრატიული გაერთიანება	9.1%
ეროვნული საბჭო	7.2%
თოფაძე - მრეწველები	4.7%
სხვა პარტია (ცხრა პარტია)	2.3%
არცერთი	2.6%

ძირითად კითხვებზე პასუხების გარდა მკვლევართა ჯგუფმა შედეგები დაამუშავა ასაკისა და სქესის მიხედვით. გიგი უგულავას მხარდამჭერთა შორის ჭარბობდნენ მანდილოსნები და ახალგაზრდები. ქალ რესპონდენტთა თითქმის 63% მხარი დაუჭირა თბილისი მოქმედ მერს, მაშინ როდესაც მამაკაცებს შორის მისი მხარდაჭერთა რიცხვი 53% იყო, რამაც საბოლოო ჯამში მოგვცა 58% ცოტა ნაკლები მხარდაჭერა.

ასაკობრივ ჭრილში გიგი უგულავას ყველაზე მეტი მხარდამჭერი 18-35 წლების რესპონდენტებს შორის ყავს - 63%, ყველაზე ნაკლები კი 36-50 წლამდე მოსახლეობას შორის - 54%. შესაბამისად სწორედ პირველ ასაკობრივ ჯგუფში ჰქონდათ ოპოზიციურ კანდიდატებს ყველაზე დაბალი მაჩვენებლები, განსაკუთრებით ეს ითქმის ზვიად მიმიგურზე, რომელის მაჩვენებელი პირველ ასაკობრივ კატეგორიაში ორჯერ ნაკლებია მისივე საშუალო მაჩვენებელთან შედარებით.

საინტერესოა, რომ პარტიული ხაზიც ზუსტად იმეორებს ლიდერების შედეგებს ასაკობრივ და სქესობრივ ჭრილს. ეს კიდევ ერთხელ უჩვენებს იმას, რომ საქართველოში ლიდერები განსაზღვრავენ პარტიების რეიტინგსა და სახეს და არა საარჩევნო პროგრამები.

K1. საარჩევნო ოლქი	K2. საარჩევნო უბანი
D1. სქესი: 1. ქალი 2. კაცი	D2. ასაკი: 1. 2. 3.
S1. გამოკითხვა ჩატარდა: 1. 11 საათამდე; 2. 4 საათამდე; 3. 6. 30 საათამდე; 4. 8	

საათამდე

S2. ინტერვიუერის კოდი

S3. კონტროლის კოდი

A1. გთხოვთ მითხრათ, მერობის რომელ კანდიდატს მიეცით ხმა?

ირაკლი ალასანია	2
გიორგი თოფაძე	3
გიორგი უგულავა	5
ზვიად ძიძიგური	7
გიორგი ჭანტურია	10
გიორგი ლალიძე	14
თამაზ ვაშაძე	18
დავით იაკობიძე	21
ნიკოლოზ ივანიშვილი	25
არცერთს/ყველა გადავხაზე	77
უარი პასუხზე	99

A2. გთხოვთ მითხრათ, რომელ პოლიტიკურ პარტიას მიეცით ხმა?

„ალიანსი საქართველოსთვის“ (ი.ალასანია, ს.სუბარი, დ.უსუფაშვილი, დ.გამყრელიძე, ს.ზურაბიშვილი) (საქართველოს რესპუბლიკური პარტია, პ/გ „ახალი მემარჯვენეები“ (ახლები), მოქალაქეთა პ/გ „ჩვენი საქართველო–თავისუფალი დემოკრატები“, პოლიტიკური პარტია „საქართველოს გზა“)	2
თოფაძე–მრეწველები	3
პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	5
საქართველოს სპორტსმენთა კავშირი	6
„ეროვნული საბჭო“ (საქართველოს კონსერვატიული პარტია, პ/გ „ხალხის პარტია“, მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“)	7
სრულიად საქართველოს რადიკალ–დემოკრატიული ნაციონალური პარტია	8
“გიორგი თარგამაძე, ინგა გრიგოლია – ქრისტიან–დემოკრატიული გაერთიანება” (მოქალაქეთა პ/გ “ქრისტიან–დემოკრატიული მოძრაობა, პ/გ “ჩვენ თვითონ”, მოქალაქეთა პ/გ “ქრისტიან დემოკრატიული სახალხო პარტია”)	10
პოლიტიკური პარტია “ჩვენი ქვეყანა”	12
პოლიტიკური პარტია “მომავალი საქართველო”	14
პოლიტიკური მოძრაობა “თავისუფლება”	15
პოლიტიკური მოძრაობა “სოლიდარობა”	18
“თორთლაძე – დემოკრატიული პარტია”	21
მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „სრულიად საქართველოს სახალხო ალიანსი“ (სსსა)	23
ივანიშვილი – “სახალხო დემოკრატები”	25

არცერთს/ყველა გადავხაზე	77
უარი პასუხზე	99

A3. რომელ პოლიტიკურ პარტიას მიეცით ხმა 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებზე?

საქართველოს რესპუბლიკური პარტია	2
საარჩევნო ბლოკი "მემარჯვენე ალიანსი - თოფაძე-მრეწველები"	3
"შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია"	4
"ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გამარჯვებული საქართველოსათვის"	5
"გაერთიანებული ოპოზიცია" (ეროვნული საბჭო, მემარჯვენეები)	7
"გიორგი თარგამაძე - ქრისტიან-დემოკრატები"	10
სხვა პარტიას	88
არცერთს	77
უარი პასუხზე / არ მახსოვს	99

A4. ჩაწერეთ თქვენი ასაკი _____